პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 285 (13977) | პარასკევი, 8 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაკებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ სასამართლო ორგანოების მუშაკებს სახელოვან წლისთავს — „სასამართლოს შესახებ" ლენინური დეკრეტის გამოქვეყნების 50 წლისთავს. ამ დეკრეტით გაუქმდა ძველი სასამართლო სისტემა და შეიქმნა ახალი საბჭოთა სასამართლო.

სასამართლო ორგანოების მუშაკები დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, დამნაშავეობის ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაკები, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ და განამტკიცებენ კავშირურთიერთობას საზოგადოებრიობასთან, მკაცრად იცავენ სოციალისტურ კანონიერებას, ამავე დროს გააძლიერებენ ბრძოლას მოქალაქეთა უშიშროების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფის წინააღმდეგ, სამართალდარღვევის ასაცილებლად.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდ წარმატებებს რთულ და საპატიო საქმიანობაში მართლმსაჯულების განსახორციელებლად და სოციალისტური მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მოქალაქეთა აღსაზრდელად ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ნიგნები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის ზვიადაზე მიტი დასახელების წიგნს გამოუშვებენ ჩვენი ქვეყნის გამომცემლობანი. ეს განაცხადეს 1 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბიუროვნი სიტყვის კომიტეტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ლირსშესანიშნავი თარიღისთვის გამოვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული 55-ე ტომის დამატებითი ტირაჟი. (საკდესი).

ფენდეგა ფოლადის მაგისტრალი

ბეინეუ-კონგრადის მშენებარე რკინიგზის ხაზზე უკვე დაგებულია ეს კილომეტრამდე მიწის ვაკისი. მზადაა ორი ხიდი, გრძელდება მესამე ხიდის მშენებლობა.

ახალი ფოლადის მაგისტრალი გორიგლისტრახანის მშენებარე რკინიგზასთან ერთად ეამიელი ეს ეაკავშირებს შუა აზიის რესპუბლიკებს ურალთან, ვოლგისპირეთთან და კავკასიასთან. ტრასაზე აშენდება ექვსი სადგური, საცხოვრებელი სახლები, საწარმოო შენობები.

რკინიგზის ხაზი მიიღებს უახლოეს ტექნიკას, მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი გახდება ქასპიისპირა ვილში გადაკვეთილი მატარა სადგური ბეინეუ.

ახალ მაგისტრალზე მუშაობა დამკვრელური ტემპით წარმოებს. მანგიშლაყიდან კონგრადის სადგურში გადმოსული № 260 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივი ამშენებს საცხოვრებელ სახლებს და საწარმოო ბაზას. კოლექტივი ემზადება უსტიურტის შტურმისათვის.

ბეინეუ-კონგრადის რკინიგზა გამოცხადებულია სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად.

(საკდესი).

ვინეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულის გამო

ჯელსინკი, 6 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ურჰო კალევა კეკკონენმა პრეზიდენტის სახასლეში დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — ფინეთის დამოუკიდებლობის 50 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, მისი თანმხლები პირნი, შვეიცარიის, ნორვეგიის, ისლანდიისა და დანიის დელეგაციები, ფინეთში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობაზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი რ. პაასიო. პარლამენტის თავმჯდომარე ი. ვიროლაინენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი და მთავრობის სხვა წევრები, პარლამენტის წევრები, პოლიტიკური პარტიათა ხელმძღვანელები.

პრეზიდენტის სასახლეში მოვიდნენ ფინეთის სხვადასხვა რაიონიდან საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული წარმომადგენლები, ფინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ქალაქში მოეწყო დიდი სადღესასწაულო ფოიერვერკი.

ჯელსინკი, 7 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც ფინეთში არიან მისი დამოუკიდებლობის 50 წლისთავის დღესასწაულობასთან დაკავშირებით, დღეს დილით ეწვივნენ საკაცო საზოგადოება „სუომენ ს

საქმიანი კრიტიკის ნიშნით

სოფელ ხაჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კარგი შრომით სახელი გაითქვეს არა მარტო ხობის რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც. ხაჯიჯაოელ კოლმეურნეთა უოველდღიური საქმიანობაში, მათს შრომასა და ცხოვრებაში იგრძნობა ჩვენი დღეების მაჯისცემა. კოლმეურნეობათა თავდადებულ შრომას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის სათავეში უდგას მისი ავანგარდი — კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ამ დღეებში ხაანგარიშო-საარჩევნო კრება ჰქონდა.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი მძლავრია რაიონში. აქ 87 კომუნისტია და მას განთავისუფლებული მდივანი ჰყავს. პარტიული ბიურო კოლექტიური ხელმძღვანელობის წამდგომი ორგანოა. იგი ღრმად სწედება მეურნეობის საქმიანობას. პარტბიურო თავის უპირველეს მოვალეობად თვლის მუდმივად ეურდნობოდეს ფართო აქტივს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საკოლმეურნო შრომის ნოვატორებს, მოწინავეებს. ეს საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას ყოველწლიურად ამრავლოს საკოლმეურნეო ხვავი. პარტბიურო გამგეობასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ყოველ ჰექტარზე მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. მატერიალური დაინტერესების პრინციპის ფართოდ განვითარებას.

სწორედ ამ აქტუალური საკითხით დაიწყო ხაანგარიშო-საარჩევნო მოხსენება პარტბიუროს მდივანმა ს. სერბიამ.

შეიძლება ითქვას, — აღნიშნა მომხსენებელმა, — რომ პარტიული ორგანიზაცია სრულ პასუხისმგებლობას გრძნობდა კოლმეურნეობის მთელი სამეურნეო მდგომარეობისათვის. პოლიტიკურ შუშაობას მასებში მჭიდროდ უკავშირებდა მის წინაშე მდგომ სადღეისო მოცანებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნისტებისა და კომკავშირელების სწორად განაწილებას. საწარმოო უბნების მიხედვით ყველა ბრიგადაში, რგოლში, ფერმაში თითქმის ყველა კომუნისტი ჩაბმულია ფიზიკურ შრომაში.

ყველა კომუნისტს აქვს მუდმივი და დროებითი პარტიული დავალება მათი ცოდნის, უნარისა და სურვილის გათვალისწინებით. ამასთან პარტბიურო ხშირად ამოწმებდა, თუ როგორ ასრულებდნენ ისინი მინდობილ საქმეს. ამან ხელი შეუწყო კომუნისტების აქტივობასა და თვითმოქმედების ამაღლებას.

ვის არ გაახარებს სოციალისტური შრომის გმირის, კოლმეურნის ქსენია კეკელიშვილის შრომითი მაჩვენებლები. იგი, როგორც ქალი, პირველი გმირია რაიონში. ხაუბნელეო წელს მისი პირობა იყო 0,7 ჰექტარზე მოეკრიფა 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ფაქტიურად რაიონში პირველმა უპასუა 9.000 კილოგრამი ფოთლის მოკრეფა. ეს სახელოვანი მეჩაიე 25 წელზე მეტია, რაც ფოთოლს კრეფს და ამ ხნის განმავლობაში მას 250 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული აქვს მიღებული.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხიუხვისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ კომუნისტები: ხაჯართველოს სსრ უმაღლესი სბჭოს დეპუტატი ე. კილასონია, ვ. ოკუჯავა, დ. ჯანჯღავა, ა. ოკუჯავა, ბ. ბერძენიშვილი, ლ. ფურფუმია, ნ. კილასონია, ი. კუჭავა, მ. ზარანდია, ზ. კვარაცხელია და მრავალი სხვა.

ესენი გახლავან ის შუქურები, რომლებმაც საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება-განმტკიცებისათვის თავდადებულ შრომაში გაიყოლიეს ხაჯიჯაოელი კოლმეურნეები. ამ მაღალნაყოფიერი შრომის შედეგია, რომ საიუბილეო წელს კოლმეურნეობამ საგრძნობი გადაჭარბებით განაღდა ჩაის, სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, რომ სახელმწიფოს მიბეყდა 913 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმასთან შედარებით 86 ათას კილოგრამით მეტი, რომ გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ბრიშუმის პარკის დავალება. მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა თვენახევრით ადრე შესრულდა.

ამ წარმატებათა მოპოვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მატერიალური დაინტერესების პრინციპის ფართოდ განვითარებამ და გამოყენებამ მეჩაიეობაში, მესიმინდეობაში, მეცხოველეობაში. აღმოფხვრილია გაუპიროვნება. კოლმეურნეებს შეუფერხებლად ეძლევათ ჯილდო და პრემიები გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საიუბილეო წელს კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ 40 კოლმეურნე მაღალი მაჩვენებლებისათვის სამახსოვრო დროშებითა და სიგელებით დაჯილდოს. ეს ჯილდოები სამუდამოდ დარჩებათ მათ როგორც გამარჯვების სიმბოლო.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე პარტიის რიგების ზრდის, სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საკითხებზე, გაკრიტიკა ნაკლოვანებები.

— შესაწუხებელი რა გვაქვს, — ამბობს მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსული ბრიგადირი ს. კვარაცხელია. — მთავრობამ იარაღ-მანქანები მოგვცა, ტრაქტორები ხნავს ჩვენს მიწებს, სათესი მანქანები თესავენ და კულტივატორები ამუშავებენ ნათესებს. შრომა შეგვიმსუბუქდა და გაგვიადვილდა! მაგრამ დასამალავი რადა: მიღწეველთან ერთად ჯერ გვაქვს ნაკლიც. ყველა კარგად რომ მუშაობდეს, მაშინ ყველაფერი მეტი გვექნება.

აბა განვსაჯოთ: ჭ. კეკელიშვილმა საიუბილეო წელს 0,7 ჰექტარზე 9.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული მიიღო და ამით გეგმას 6 ათასი კილოგრამით გადაჭარბა. ისეთსავე პირობებში უბედა მუშაობა დ. კვარაცხელიას. მას კი 0,8 ჰექტარზე ვალდებულებით სულ მცირე 2.800 კილოგრამი ფოთოლი უნდა მიეღო. რა მიიღო? მხოლოდ ათასი კილოგრამი. ასევე ცუდად იმუშავეს ანეკო და ნათელა თარქიებმა.

კოლმეურნე ა. ბოგანენიამ გულისტკივნეულით თქვა: — წელს კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 28 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ეს ასეთ ჯირეულ ამინდში ცუდი არ არის, მაგრამ შეიძლებოდა გაცილებით მეტის მოყვანა. მაგალითად, კომუნისტმა ნ. ხეცურიანმა საკოლმეურნეო ბიდელში 80 ცენტნერი სიმინდი რომ ჩიეარა, განა ასეთი მოსავლის მოყვანა ჰექტარზე სხვას არ შეუძლია?

ბრიგადის ხელმძღვანელმა კომუნისტმა ა. ძაჯაიამ თქვა: ბრიგადამ წელს ვერ შეასრულა ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გეგმა. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ მოსავლიანი პლანტაციები გვეთვლება, ნაწილი კი მოუსავლიანია. ამაზე არაერთხელ მივმართე გამგეობას, პარტიულ ორგანიზაციას. მაგრამ შედეგს მაინც ვერ მივაღწიე. მომხსენებელმა ცოტა ადგილი დაუთმო მეაბრეშუმეობას. არ დაასახელა ამ საქმეში ცუდად მომუშავე კომუნისტები. მაგალითად, კომუნისტმა ვ. კილასონიამ 10 გრამ ბერზე მხოლოდ 2,5 კილოგრამი აბრეშუმის პარკი რომ მიიღო ნაცვლად 20 კილოგრამისა, ასევე კომუნისტმა ბ. ჭაჯაიამ აბრეშუმის ჭიას არ მოუარა და უმნიშვნელო მოსავალი მიიღო.

განა ასეთი კომუნისტები გაყიცხვის ღირსი არ არიან?

სახელოვანმა მეჩაიემ ე. დოლიძემ თქვა: მოსავლელად მიჩენილ 0,25 ჰექტარზე მოსავლიანობის გეგმას სამჯერ გადავჭარბე, ახლა მომავალი წლის ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ხიუხვისათვის აქედანვე ვზრუნავ. პლანტაციებში შემაქვს სასუქი, ვაწარმოებ მწკრივთა შორის ნიადაგის გადაბარვას და სხვ. სამწუხაროდ, საზამთრო სამუშაოების ჩატარება ცუდ პირობებში გვიხდება. ზოგან პლანტაციებში არ არის კეთილმოწყობილი მისასვლელი გზები, ამიტომ სასუქის შეტანა ფერხდება. მომხსენებელმა ამ საკითხს რატომღაც ყურადღება არ მიაქცია.

ჩვენ მუშაობასთან ერთად გვინდა ცოდნის ამაღლება, ეურნალ-გაზეთების კითხვა, ამ უკანასკნელ თვეებში კი ამას ვერ ვახერხებ, რადგან ჩვენი სოფლის ოსტატლიონი ი. არზიანი ცუდად მუშაობს. ხშირად 10-15 და კიდევ მეტი დღეების განმეობის ერთად მოაგროვებს და ისე მოაქვს. ამას არავინ არ აქცევს ყურადღებას. პარტიული ორგანიზაცია ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს.

ხაანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კომუნისტები, ბრიგადების ხელმძღვანელები ბ. ქეკუშაძე, ხ. პეტრაპია, ა. ჩიკოვანი, აგრონომი ბ. თოფურია, სოციალისტური შრომის გმირი ძ. კეკელიშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. შამათავა, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. გოგენია, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხუნჯუა, ხობის რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბერაია. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტიულ ბიუროს მიღწეულთან ერთად თავის მუშაობაში აქვს ნაკლოვანებანი. მაგალითად, სოფელ ხაჯიჯაოს კოლმეურნეობაში მეტი ჩაის ფოთლის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამას ხელს უშლის ის, რომ პლანტაციები არასწორად არის მოსავლელად განაწილებული. ზოგ კოლმეურნეს მოსავლელად მიჩენილი აქვს ჰექტარი პლანტაცია, ზოგს ამის ნახევარი. ცხადია, ჰექტარი ფართობის მოყვანა ერთ მეჩაიეს არ შეუძლია. ამასთან ერთად პლანტაციებში ხარწყავი არხები ხანგრძლივი პეროდის მანძილზე ამოვსებული და ბევრგან ჩაის პლანტაცია დაჯაობებულია. თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია ფოთლის მოსავლიანობის შემცირება. ამ საქმის მოგვარებაში რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებაა საჭირო. ხობის რაიონში საჯიჯაო ერთ-ერთი მძლავრი და დიდი სოფელია. მიუხედავად ამისა, მას არა აქვს კეთილმოწყობილი კლუბი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. ზოგან გზები მოუწყობელია, არ გაჯჩნიათ სასადილო და სხვ.

კომუნისტებმა პარტბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი. პარტბიუროს მდივნად კვლავ ს. სერგია აირჩიეს.

შ. ჭოჭუა.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.



ეს სურათი თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკაშია გადაღებული. ცვლის ოსტატი ლილი ჯიბუტი და ფაბრიკის მექანიკოსი შარიფ ვერგასოვი მანქანის ტექნიკურ მდგომარეობას ამოწმებენ. ასეთი რამ ეშვიათად რომ ხდება. ისინი მზრუნველობას არ აკლებენ მანქანებს, იციან, რომ ეს ყოველდღიური წარმატებათა საწინდარია.

ფოტო ა. ჭელიძისა.

შრომის ჯილდო

- ჩაისუბანი — კომუნისტური შრომის კოლმეურნეობა.
- 200 კოლმეურნე—კომუნისტური შრომის დამკვრელი.
- შრომის მაღალი საზღაური.
- ყველა ვალდებულება ვადამდე!

ჩაისუბანი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ჩოხატაურის რაიონში. წინათ ეს სოფელი ერთი მიკარდნილი, სანახევროდ უდაბური ადგილი იყო, ჯვარცმა ერქვა.

ახლა შეხედავთ ჩაის ხავერდოვანი ბუჩქებით მოხატულ სოფელს და არ შეძლება არ გაიხარო.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მიიღეს ჩაისუბნელებმა. ირტელს ზემდგომი ორგანოების დადგენილებით კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის სატიტი მიენიჭა.

ეს სატიტი სახელი იოლი შრომით როდია მოპოვებული. რამდენიმე წელია ირტელი ზედიზედ აღწევს თვალსაჩინო წარმატებებს, ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება მისი მეურნეობიანი და ორგანიზაციული მაჩვენებლები. საგულისხმოა, რომ აქ ერთი შრომისუნარიანი კოლმეურნის საშუალო წლიური დატვირთვა 210 კაც-დღის ო�ატუბა. ირტელში არ არის ისეთი წევრი, რომელსაც შრომის სავალდებულო მინიმუმი არ გამოეძახებოდეს. ჩაისუბნელები მთელ რესპუბლიკაში სანიმუშონი ამითაც არიან, რომ აქ 200-მდე კოლმეურნეს მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის სატიტი წოდება, ხოლო კოლმეურნეობის 6 საწარმოო ბრიგადას — კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება.

ჩაისუბნელებს ჩაის პლანტაცია 120 ჰექტარზე აქვთ გაშენებული. წელს ჰექტარზე საშუალოდ 5 ტონამდე ჩაის მოსავალი მიიღეს, რაც სარეკორდოა მათი მუშაობის პირობებში. ტონა ჩაის დამზადებაზე შრომის დანახარჯი წელს 3 პროცენტით შემაცირეს.

შრომის მაღალი დისციპლინის დანერგვით, კოლმეურნეთა მაღალი შეგნებით, კომუნისტური შრომისადმი სიყვარულით არის ეს წარმატებები მიღწეული. ფიზიკურად მომუშავე კოლმეურნეთა საშუალო თვიური ხელფასი სჭარბობს კოლმეურნეობის აპარატში მომუშავეთა ხელფასს. მოწინავე კოლმეურნეთა ხელფასი თვეში 100-130 მანეთს აღემატება. შრომის მაღალ ანაზღაურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თვითეულ კაც-დღეზე კოლმეურნე 5 მანეთზე მეტს იღებს.

აქ 55 კოლმეურნეს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი. ხოლო 154 კაცს — საშუალო, აქკამად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში 38 კოლმეურნე სწავლობს, მათ შორის 21 კოლმეურნე დაუსწრებლად ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს.

— ამ მძლავრი არტელის აღორძინებას ხაქმეში ადიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს საყვარელ ვეტერან კოლმეურნეებს, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ამ სოფლის მკვიდრი, ხაქმის კარგი ორგანიზატორი ო. შარაშენიძე, — ბ. ბერაძეს, გრ. ბასლაიას, ნ. ბოლქვაძეს, ბ. ჩიგოგიძეს, ი. ჩიგოგაძეს, გ. გიორგაძეს, გ. გეგეჭკორს, პ. თავბერიძეს და სხვებს, რომელთა ნაყოფიერი შრომის საუკეთესო ტრადიციებზე აღიზარდა ახალგაზრდა კოლმეურნეთა მთელი პლეადა. მათ საკვეთნოდ გაუთქვეს სახელი ჩვენს კოლმეურნეობას. ისინი ამჟამად თავდადებით შრომობენ კოლმეურნეობის მინდვრებში და ალაფერთთოვანებენ მათ გვერდში მომუშავე ახალგაზრდებს.

კოლმეურნეობის წინსვლისათვის მრავალ თავდადებულთა შორის ქების ღირსი არიან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ჩხეიძე, ე. შარაშენიძე, თ. უნგაძე, ლ. ფლეტი, ნ. შარაშენიძე, ი. კეკელიძე, ლ. ბერაძე, ა. ჩიგოგიძე, ე. კილასონია, ფ. გიორგაძე, გ. მამალაძე, ბ. დოლიძე და სხვა მრავალი, რომლებმაც ერთგულიანი და მრავალწლიანი კულტურების სარეკორდო მოსავალი მიიღეს.

ჩაისუბნელები მათი მშობლიური არტელისათვის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის სპატიო წოდების მინიჭების შემდეგ უფრო მეტი ენერგიით შრომობენ. მათ სასახელოდ გაანაღდეს საიუბილეო წლის ყველა ვალდებულება. ნაცვლად ვალდებულებით ნაყოსი 530 ტონისა მოკრიფეს 580 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად 42 ტონისა აწარმოეს 44 ტონა რძე, ნაცვლად 6.050 კილოგრამისა დაამზადეს 7.264 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ყურძნის დამზადების წლიური დაკალება შეასრულეს 130 პროცენტით. სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტების ჩაბარების დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულდა.

სასახელო შრომის ავანგარდში იდგა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი შ. ჩანტლაძე), რომელიც 65 კომუნისტს აერთიანებს. მოწინავეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდა, საგიტაციო მასობრივი მუშაობა მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებთან, მასებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის მაღალ დონეზე მოწყობა — ეი ის საკითხები, რასაც აქტიური კომუნისტები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ.

სოფლის მეურნეობის მოწინავე მეცნიერების პრაქტიკაში დანერგვის საქმეში მაღალნაყოფიერად შრომობს კოლმეურნეობის აგრონომრსონალი (მთავარი აგრონომი ი. ბათანასოვი), რომელიც მაღალ აგროტექნიკურ ვადებში ასრულებს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს.

ჩაისუბნის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის წევრები სანაქებო შედეგებითა და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ამთავრებენ ხუთწლიდის მეორე წელს და აქედანვე ემზადებიან შომავალი წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

ბ. ჩხაიძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ვ. ჩოგაძეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს განყოფილების უფროსს ამხ. გიორგი მიხეილის-ძე ჩოგაძეს დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. კოტელნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1967 წლის 7 დეკემბერი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამ. ბ. ა. ფულუკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ბორის აბესალომის-ძე ფულუკიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. კოტელნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1967 წლის 7 დეკემბერი.

ხალხის სამსახურში

ცუთოწლეულის ადამიანები

ადამიანი რამ შეიძლება განიცადოს ადამიანმა სიცოცხლის მანძილზე? შეიძლება მოიარო მსოფლიო, აშენო ქალაქები, იბრძოლო, შენი ნამოღვაწარეთ იხარო, წარუმატებლობით წუხდე... ეერც ჩამოთვლი ადამიანთა ბედის ქროლვის ამ გრძელ სიას. თუმცა ბევრისათვის მოუწყვიდელი ან ნახევრად. მაგრამ სიმინდ ჯაფარიძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც სიპაბუკეშივე გამოსცადეს ბედისტრიალეთ გამოწყვეული ყველა დიდი სიხარეთი და სინანული.

რაჭის შთის სოფლის მკვიდრი 15 წლისა ჩაება შრომითი ცხოვრების ფერხულში და იმ გრძელსა და დაბეჭვულ ბილიკს გაჰყვა, რომელიც ტყის ლაბირინთიდან მგზავრს უცევ ფართო, ნათელ შარაზე გამოიყვანს ხოლმე.

სომონი ონის რაიონის სოფელ შარდომეფში დაიბადა. ონში დაამთავრა საშუალო სკოლა და მიწის სიყვარულს ეზიარა. რაჭის შთის სოფლები ამ დროს უკვე ახმაურებული იყო რევოლუციის ექოთი. მოწოდებე ინტელიგენციის ნაწილი დიდი საქმისათვის ამზადებდა ხალხს. რაზე ფიქრობდა მაშინ რაჭველი ახალგაზრდა, ბედის ვარსკვლავს რომ ეძებდა ღამის ცაზე? ადამიანის ფიქრი ყველაფერს სწვდება და სომონიც ქვეყნიერებაზე დაპაჭროდა თავისი ფიქრის რაშით. სანამ სამხედრო სამსახურში გაიწვევდნენ, მან ოჯახი ნახა ახალი ცხოვრება, რომელიც მასზე ოდნავ უფროსმა თამბამ მოუტანა ხალხს და ამ ცხოვრების მოტრფიალე მის დასაცავად გაიშარა.

სამხედრო სამსახურით გადაიშალა ხალხის წინაშე სომონ ჯაფარიძის დამბადებლობა. ეს ადამიანი ბევრ ადგილზე ყოფილა, ბევრ ადამიანს ხვედრია ასეთი ბედი. ბევრ ადამიანს ბევრ ადგილზე ბევრ ადამიანთან ბევრ ფიქრი ბევრ ადამიანთან ბევრ ფიქრი ბევრ ადამიანთან ბევრ ფიქრი

საერთაშორისო ცხოვრება

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჰანოი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრიფ ფინგ ბის მარიონეტული ბრიფის ადგილზე ბაკ ჯონ ხის მარიონეტული ბრიფის გადაწყვეტილება სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკელი აგრესორების დასახმარებლად გაგზავნოს სამხრეთკორეელ დაქირავებულთა ახალი ჯგუფი, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ბაკ ჯონ ხის მარიონეტულმა ბრიფამ, ნათქვამია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, გადაწყვიტა სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნოს კიდევ 15 ათასი სამხრეთკორეელი დაქირავებული. სამხრეთკორეელი მმართველი წრეების ეს აქტი ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა და საერთაშორისო სამართლის აღმაშფოთებელი დარღვევაა.

ამხილებენ დანაშაულს

ბერლინი, 6 დეკემბერი. (საკდესი). აზიისა და აფრიკის ხალხებთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოლიდარობის კომიტეტის ვიეტნამის საკითხთა კომისიის ინიციატივით დღეს აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, ...

...ურნალისტთა წინაშე გამოვიდა ვიეტნამში ამერიკელ იმპერიალისტთა სამხედრო დანაშაულის გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ფამ ვან ბატი, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობდა ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულის გამომძიებელი საერთაშორისო ტრიბუნალის სესიაზე. მან დაგმო ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი დანაშაული.

პატრიოტთა წარმატება

ჰანოი, 7 დეკემბერი. (საკდესი). 29 ნოემბერს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები გაბედულად დაესხნენ თავს მოწინააღმდეგის ჯარების პოზიციებს.

სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მოწინააღმდეგეს დაუხოცეს და დაუჭრეს 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

იზრდება შეიარაღებული ძალები

ვაშინგტონი, 7 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატები კვლავ ადიდებს შეიარაღებული ძალების რიცხვს ვიეტნამში. პენტაგონი 101-ე ავიაესადესანტო დივიზიის დარჩენილ ორ ბრიგადას გზავნის სამხრეთ ვიეტნამში.

ამ ორი ბრიგადის გაგზავნის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რიცხვი სამხრეთ ვიეტნამში შეადგენს 480 ათასს.

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პალესტინელ ლტოლვილთა დასახმარებლად სახსრების შემგროვებელი სპეციალური კომიტეტის სხდომა. 33 დელეგატმა გამოაცხადა, რომ მათმა მთავრობებმა გადწყვიტეს ნებაყოფლობით შეიტანონ თანხები 1968 წელს პალესტინელ ლტოლვილთა დახმარების ფონდში. დილის სხდომაზე გამოაცხადეს, რომ ამ ფონდში შეტანილია 26,3 მილიონი დოლარი.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და ერაყის წარმომადგენლენი, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ ისრაელის აგრესიის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იძულებულია გამონახოს დამატებითი სახსრები პალესტინელი ლტოლვილებისათვის დახმარების გასაწევად.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ ფონდში შეტანილი თანხა, რომელიც ისრაელმა გამოაცხადა, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ომის შედეგად მიტაცებული არაბთა ტერიტორიებისა და ქონების ღირებულებისა და ამიტომ სრულიადაც არ არის საკმარისი.

ნიუ-იორკი. 7 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტმა (მეურვეობის კომიტეტმა) დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის საბჭოს მიერ წარდგენილი მოხსენების განხილვა.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე განიხილეს ავსტრალიის რეზოლუციის პროექტი იმის შესახებ, რომ 1968 წლის 31 იანვრიდან ნაურუს ხალხს მიენიჭოს დამოუკიდებლობა. სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე ავსტრალიის, ინგლისისა და ახალი ზელანდიის, ე. ი. იმ ქვეყნების წარმომადგენელთა განცხადებანი, რომლებიც ახორციელებენ მმართველობას ნაურუს ხალხის მიმართ.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა პ. შახოვმა ხაზი გაუსვა, რომ პატარა ნაურუს ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების ფაქტი „მოწმობს ეროვნულ მოძრაობათა დიად და უძლეველ ძალას, რომლებიც ამსხვრევენ ყველა დაბრკოლებას ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე“.

საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გამოთქვა რწმენა, რომ ნაურუს როგორც სუვერენული ერის შემდგომ განვითარებაზე არ მოახდენენ რაიმე ზემოქმედებას გარედან და რომ სავსებით დაიცავენ ნაურუს ხალხის სამართლიან მოთხოვნას, ცნობენ მისი ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების გამოყენების სუვერენულ უფლებას.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას განაცხადა პ. შახოვმა საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რომ გენერალური ასამბლეის ამ სესიამ მიიღოს გადწყვეტილება, რომ შეწყდეს მმართველობა ნაურუ ... ...ბენ ... ...ბ ... ...ბ ... ...ბ

მინერალოგის მესაიდუმლე

პროფესორ გ. ვ. გვახარიას დაბადების 60 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის მინერალოგიის განყოფილების გამგეს, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ გიორგი ვლადიმერის-ძე გვახარიას დაბადების 60 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

გიორგი გვახარია ცნობილია როგორც მინერალების დაუღალავი მკვლევარი და მრავალრიცხოვანი გეოლოგიური კადრების აღმზრდელი.

გ. გვახარიამ 1930 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით. სტუდენტობის დროსვე მიიპყრო მან პროფესორ ა. თვალჭრელიძის ყურადღება, რომელმაც იგი გეოლოგია-პეტროგრაფიის კათედრაზე მიიწვია სამუშაოდ ჯერ კიდევ 1927 წელს. ამ დღიდან გიორგი გვახარიას მუშაობა მინერალოგიის და კრისტალოგრაფიის მიმართულებით წარიმართა. 1928-1929 წლებში ჭაბუკი ლენინგრადში, იქ მუშაობს აკადემიკოსების ვ. ი. ვერნადსკის და ა. ი. ფერსმანის ხელმძღვანელობით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მინერალოგიურ მუზეუმში, რომელიც იმ დროს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფუნქციებს ახორციელებდა. აქ ის იკვლევს სოღანლუღის მიდამოებში მის მიერვე შეგროვილი მინერალების მეტად საინტერესო ჯგუფს — ცეოლითებს. მიღებული შედეგების შესახებ გამოდის მოხსენებით რუსეთის მინერალოგიურ საზოგადოებაში და 1929 წელს აქვეყნებს პირველ წერილს.

ვ. გვახარიას მეცნიერული ინტერესების მთავარ მიმართულებად ცეოლითები და მათი მომჰყვანი მინერალები ხდება. იგი სწავლობს თბილისის მიდამოების მინერალოგიას, აქვეყნებს მთელ რიგ სტატიებს, ხოლო 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „თბილისის მიდამოების პოსტვულკანური პროცესების მინერალოგია". ახალგაზრდა მეცნიერმა სადოქტორო შრომაც საქართველოს ცეოლითების შესწავლას მიუძღვნა. 1948 წელს იგი წარმატებით იცავს მოსკოვში სადოქტორო ბარიხს და პროფესორის მეცნიერულ წოდებას იღებს.

ცეოლითები 50-იანი წლებიდან მეტად და მეტად იჭრება იანამედროვე ქიმიურ მრეწველობაში, როგორც ეკრეთწოდებული „მოლეკულური საცრები", ნავშირწყალბადთანაარ მონომერების მისაღებად და სხვ. პროფესორი გვახარია ითვლება მინერალების ამ ჯგუფის ცნობილ სპეციალისტად საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც. ის საკავშირო აკადემიასთან არსებული ცეოლითების სამეცნიერო საბჭოს წევრია. მაგრამ იუბილარისა და მისი მოწაფეების ინტერესები მხოლოდ ცეოლითებით არ იფარგლება. თიხები და თიხა-მინერალების შესწავლა, სილიკატების სხვადასხვა ჯგუფებისა და მადნეული მინერალების კვლევა პროფესორ გ. გვახარიას ფართო დიაპაზონის მაჩვენებელია. მინერალოგიის სხვადასხვა დარგში მას გამოქვეყნებული აქვს 80-მდე ნაშრომი. მასვე, პროფესორ გ. ძოწენიძესთან და დოც. ი. უიფშიცესთან ერთად, ეკუთვნის მინერალოგიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

მეცნიერი მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში, დაწყებული 1926 წლიდან, დაუღალავად ეწევა საველე გეოლოგიურ მუშაობას. ამიტომ არის, რომ იგი მეცნიერულ დაკვირვებებს შესანიშნავად უთავსებს პრაქტიკულ ძებნა-ძიების ინტერესებს.

ჩვენი იუბილარი ასკანის თიხას პირველი მაძიებელია, მონაწილეობს მადნეულის, კვაისს და სხვა საბადოების მინერალოგიურ შესწავლაში. ხშირად მოგზაურობს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და ურალზე აკადემიკოს ა. ფერსმანთან ერთად, დაკვირვებით აგროვებს მინერალების უნიკალურ კოლექციებს, რომლებიც დღეს ასე ამდიდრებენ და ამშვენებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მინერალოგიურ ვიტრინებს.

აღსანიშნავია პროფესორ გ. გვახარიას პედაგოგიური მოღვაწეობა. 40 წლის მანძილზე ის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის ლაბორანტი, ასისტენტი, დოცენტი და პროფესორია. ამავე დროს უკვე 20 წელია საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობს. მთელი რიგი წლების მანძილზე ის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ქუთაისის და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კითხულობდა მინერალოგია-პეტროლოგიის კურსს. იგი სამხატვრო აკადემიაშიც იყო მიწვეული, სადაც წაიკითხა კერამიკული ნედლეულის კურსი.

პროფესორი გ. გვახარია მრავალი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობისა და კონგრესის მონაწილეა. ხშირად ყოფილა ასეთ ღონისძიებათა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მომხსენებელი. იგი მონაწილეა გეოლოგების 1937 წლის XVII საერთაშორისო კონგრესისა მოსკოვში, 1956 წლის XX კონგრესისა — მექსიკაში, 1962 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმისა ხაპარიზში, 1966 წლის საერთაშორისო მინერალოგიური ასოციაციისა კემბრიჯში და სხვ.

გ. გვახარია არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული თიხების შემსწავლელი საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დაარსებიდან საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების წევრი და რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს წევრი. მეცნიერის მოღვაწეობა სათანადოდ არის შეფასებული — დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით. მას 1963 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

დღეს ჩვენი იუბილარი ძალღონით სავსე მკვლევარია, წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის მინერალოგიურ განყოფილებას და ეწევა თავის საყვარელ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მეგობრები, ახლობლები, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოებრიობა პროფესორ გ. გვახარიას უსურვებენ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ ნაყოფიერ მუშაობას.

გ. ზარიძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი,

ვ. ნადირაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ხურათზე: გ. გვახარია.

მოვუსმენთ უნგრელ მომღერალს

ბუდაპეშტის საოპერო თეატრის სოლისტმა, ლისტის სახელობის პრემიის ლაურეატმა ილონა რეტმი 1948 წელს დაამთავრა კონსერვატორია. თბილისელ პირველად იგი კომპოზიციის კლასში იყო, ხოლო შემდეგ ვოკალურ ჯგუფში გადავიდა. 1953 წელს იგი კონკურსგარეშე მიიღეს უნგრეთის სახელმწიფო ოპერის დასში სოლისტად.

მომღერლის რეპერტუარშია ტენორის მთავარი პარტიები ოპერებში, 37 ორატორია, საკონცერტო არიები, რომანსები, სიმღერები.

ილონა რეტის სახელი ფართოდ არის ცნობილი უნგრეთში და საზღვარგარეთ. მას სასიამოვნო ტემბრის ხმა აქვს, საუკეთესოდ ფლობს სცენურ და საშემსრულებლო ხელოვნებას. იგი ხშირად მოგზაურობს საგასტროლოდ ევროპის ქვეყნებში. გასტროლებით მოვლილი აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, დანია, ჰოლანდია და სხვა ქვეყნები.

1957 წელს, მოსკოვში საერთაშორისო ფესტივალის ვოკალისტთა კონკურსზე ი. რეტმ მიიღო პირველი პრემია, ხოლო 1961 წელს სოფიაში და საკონცერტო მოღვაწეობაში დამსახურებისათვის მას მიენიჭა ლისტის სახელობის ლაურეატის წოდება.

თბილისის საოპერო თეატრში ი. რეტი გამოვა ორ სპექტაკლში: 9 დეკემბერს იმღერებს ეუჭინის „ბოჰემაში" (რუდოლფი), ხოლო 12 დეკემბერს დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურში" (ედგარი).

რ. მაჩაიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ხურათზე: იოუეფ რეტი.

„საქართველოს აგიტატორი" № 23

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, ოცდამესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — ახლა მთავარია; **ნ. გოლოგა** — საბჭოთა უკრაინა 50 წლისაა; **ა. ინაური** — რევოლუციის ფარი და მახვილი; ერთი ფიქრით, ერთი მისწრაფებით; **ი. კემულარია** — ენერგეტიკა — ხალხის სამსახურში; **ი. ბურჭულაძე** — სრულყოფილი პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების შუამავალს; **ი. ლილაშვილი** — რატომ არ გამოუვიდა საუბარი?; **ბ. ზონენაშვილი** — საბჭოთა სიმღერები; **კ. კალანდაძე** — იმპერიალისტთა ამაო ცდები; **ს. განსოფსკი** — ოჯახი; **შიო არაგვისპირელი**; რუმინეთი სოციალიზმის გზაზე.

უნიკალური — საათი-კალენდარი

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში ქალაქის ცენტრალურ მოედანთან მდებარე სკვერში დაიდგა მონუმენტური საათი-კალენდარი თერმომეტრით, რომელიც ეისროდ, ციფრობრივად ერთდროულად უჩვენებს როგორც დროს (საათსა და წუთებს), ისე თვეს, რიცხვსა და დღეს, აგრეთვე ჰაერის ტემპერატურას.

საათი-კალენდარი ლითონის ოთხკუთხა ტრაპეციულ კარკასშია ჩასმული და არქიტექტურულად გაფორმებულ პოსტამენტზე დგას. მისი სიმაღლე პოსტამენტიდან 2,5 მეტრია. მასში ჩადგმული სპეციალური ელექტრომოწყობილობის საშუალებით ყოველ 60 წუთში გაისმის მელოდია, რომელიც კომპოზიტორმა ნ. ლალიძემ დაწერა.

ასეთი უნიკალური საათი-კალენდარი შექმნა ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დაპროექტების ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორთა ჯგუფმა ბ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. რთული და ზუსტი ელექტრომექანიზმების შექმნასა და დამუშავებაში საკონსტრუქტორო ბიუროს მთელი კოლექტივი იღებდა მონაწილეობას.

ხურათზე: ქალაქ ქუთაისის ერთ-ერთ სკვერში დაიდგა საათი-კალენდარი თერმომეტრით, რომელიც აჩვენებს წელს, თვეს, თარიღს, დღეს, ტემპერატურას.

ფოტო გ. გოგობიასი და შ. ჩხეტიანისა.

ლენინი ქლუხორის უღელტეხილზე

სოხუმის სამსონ ჯანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან არსებულმა ტურისტულმა სექციამ გადაწყვიტა კავკასიონზე დაედგა ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

ბიუსტი უსასყიდლოდ დამზადა ხელოვნების დამსახურებულმა ძოღვაწემ სკულპტორმა ბიძინა ღოღობერიძემ.

სოხუმელმა ტურისტებმა სპორტის ოსტატის ი. წულუკიძის ხელმძღვანელობით ბიუსტი ამ დღეებში დადგეს ქლუხორის უღელტეხილის იმ ადგილზე, სადაც სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა მეომრები გმირულად იცავდნენ კავკასიონს.

განზრახულია მოეწყოს უღელტეხილზე აფხაზეთის ტურისტთა მასობრივი ლაშქრობა, რომელიც დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნება.

ნ. მიქაშავიძე.

ვინმოუსვლელთა სხვენდი ნათელყოფს!

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ მელექედურის კულტურნეობის ცენტრში ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ თანასოფელთა სტენდი.

ლამაზად გაფორმებულ სტენდზე გამოკრულია ამ სოფლის მკვიდრთა — 85 შინმოუსვლელი ვაჟკაცის სურათები, რომლებიც ნათელყოფს მათს მარადიულ გმირობას.

ერთ-ერთ ბიბლიოთეკა

ზამთარი ბაკურიანში. ფოტო ვ. გენგიურისა.

დიდი ფეხბურთი „უემბლიდან"

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამდენი მაყურებელი თითქმის არც კი ახსოვს „უემბლის" სტადიონს. ასითასიანი იარუსები სავსე იყო ფეხბურთის გულშემატკივრებით — ინტერესი ინგლისისა და საბჭოთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრისადმი უჩვეულო იყო.

რა თქმა უნდა, წვიმამ და ატალახებულმა მოედანმა მეტოქეებს ხელი შეუშალა მთლიანად გამოემეღავნებინათ თავიანთი შესაძლებლობები, მაგრამ ბრძოლამ მაინც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა.

ინგლისში მასპინძლებმა გახსნეს. ეს მოხდა 23-ე წუთზე. საბჭოთა ნაკრების მეკარეს პშენიჩნიკოვს, რომელმაც ამ დღეს განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი ხელიდან გაეგარა, რომელსაც მიუსწრო ბოლმა და იგი მეტოქის კარში მოათავსა. ინგლისელთა ამ წარმატებას ჩვენმა ფეხბურთელებმა კონტრთამაშით უპასუხეს და 3 წუთში ჩისლენკომ მოულოდნელი და ძლიერი დარტყმებით ორჯერ აიღო ინგლისელთა კარი.

პირველი ტაიმის შედეგი იყო 2:1 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

მსოფლიოს ჩემპიონს დამარცხება იმოქრებოდა. ამიტომ თამაშის მეორე ნახევარში ინგლისელები მთლიანად ბერიაზე გადადიოდნენ. შესანიშნავად ითამაშეს ჩვენმა მეკარემ და ნახევარმცველებმა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე მასპინძლებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა. გოლის ავტორი იყო პიტერსი.

აი როგორი შემადგენლობით თამაშობდნენ მეტოქეები: ინგლისის ნაკრები — ბენკსი, ნიულზი, სელლერი, მური, ულსონი, მალერი, ბობი ჩარლტონი, პიტერსი, ბოლი, ჰანტი, ჰერსტი; სსრ კავშირის ნაკრები — პშენიჩნიკოვი, ანიჩკინი, შესტერნინოვი, ხურცილავა, ისტომინი, ვორონინი, საბო, ზალოფეევი, ჩისლენკო, ბანიშევსკი, სტრელცოვი.



დაწინაურდა იუგოსლავიის ნაკრები

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ხარია ვოსტოკას" პრიზზე.

იუგოსლავიის ნაკრებმა დამარცხა საბჭოთა კავშირის სტუდენტთა გუნდი 16:15. პოლონეთის ნაკრებმა მოგო საქართველოს ხელბურთელებს 24:20. ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 17:17.

ორი ტურის შემდეგ ლიდერია იუგოსლავიის ნაკრები, რომელსაც 4 ქულა აქვს.

კ. კობახიძე.

გმირობა ყინულზე

ყაზბეგი. ოცდასამი ნოემბრის დამის თერმომეტ საათზე მალალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურიდან ყაზბეგში სამწუხარო ცნობა მოვიდა: სადგურის მორიგე თანამშრომელი იტყობინებოდა, რომ ღილის რვა საათზე საჭირო საქმისათვის ყაზბეგში წამოვიდა სადგურის რადისტი-დამკვირვებელი თემურ გორგიჩ-ძე ბუზარაშვილი, რომელმაც ვერ მოაღწია დანიშნულ დასახლებულ პუნქტს. საფიქრებელი იყო, რომ მას მძლავრმა ქარბუქმა გზა აუბნია და ყინულებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ცნობის მიღებიდან ოცი წუთის შემდეგ პარტიის ყაზბეგის რაიკომში დაზარალებული რადისტის მოძებნის ოპერატიულ ჯგუფას ადგენდნენ. გამოძახებულ იქნა მაშველი ჯგუფი. ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისრა მყინვარწვერის დალაშქვრის მრავალგზის მონაწილეს, უშიშარ მთამსვლელს დ. ალიბეგაშვილს.

იმ ღამეს მალალმთიანი რაიონის ხეობებში განუწყვეტლივ თოვდა და ძნელი იყო ღამის წყვდიადში გზის გაგნება. ამიტომ მაშველმა ჯგუფმა გამგზავრება და მოძებნა მეორე დღისათვის გადადო.

გერგეტის სამების მალლობები მარკვედ ათათვის ეკუკაცებმა. აქ ჯგუფი ორად გაიყო. მათი მიზანი იყო ეზები და ბილიკები საფუძვლიანად დაეზვერათ.

მაშველი ჯგუფი სიცოცხლის ფასად მიიწევდა წინ. რაც უფრო მალლა ადიოდნენ, მით უფრო მატულობდა თოვლის სისქე, ყინვა და ხშირი ნისლიანობა. პიუხედავად ამისა, მათ ერთი წუთითაც არ უფიქრიათ უკან დაბრუნებაზე. მათ თვალწინ იდგა ბაკურიანში ჩავარდნილი ადამიანი, რომლისთვისაც, რადაც უნდა დასჭდომოდათ, დახმარება უნდა გაეწიათ.

მაშველმა ჯგუფმა ორსაათნახევარში ყინულებს მიაღწია. საღამოვდებოდა, როცა შორს, ყინულის ნაპრალზე მძიმებილებმა ხის ბაბარა ტარი შენიშნეს. ჯგუფის ხელმძღვანელი კარგად დაკვირდა ნიშანს. დაინახა ორბიც, რომელმაც იმ ადგილიდან რამდენჯერმე შემოხტა ჰაერში წრე და ბეთლემის გამოქვაბულისაკენ გაფრინდა.

ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ზ. სუჯაშვილი დაწინაურდა და პირველი მივიდა დანიშნულ ადგილზე, ხელი სტაცა წერაყინს და მწვანე ფრთხილად გადახადა თოვლის სქელი საფარი. გამოჩნდა ნახევრად გაცივებული ვაჟკაცის სხეული, რომელსაც ჯერ კიდევ ემჩნეოდა სიცოცხლის ნიშანწყალი...

...ადამიანთა ნებისყოფამ და ძლიერებამ სძლია სტიქიას და სიკვდილს გამოსტაცა ცხრამეტი წლის ახალგაზრდა, რომელიც გონდაკარგული ოცდაათი საათის განმავლობაში თოვლის საფარქვეშ იმყოფებოდა.

ვ. ჩქარეული.

ლიდერი აძლიერებს ტემპს

მალიორკის დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ყურადღების ცენტრშია. საერთო მოწონებას იმსახურებს ლიდერის — დანიელ გროსმაისტერის ლარსენის თამაში, რომელიც ოდესლაც მეტოქეებს — გროსმაისტერთა კვარტეტს ქოლანაბერერით უსწრებს.

მერვე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა დაამარცხა კუბელი ხიმენესი, იუგოსლავმა გროსმაისტერმა მატფოლოვიჩმა — ესპანელი კალვოსი, ტორანმა (ესპანეთი) — ბელგიელი ო'კელი, ლემანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — ესპანელი მედინასი. ივკოვისა და გლიგორიჩის პარტიაში მეტოქეები ყაბმს დასჯერდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ლარსენმა აქტიური კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. ამჯერად მან მოიგო უნგრელ გროსმაისტერ პორტიშს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბოტვინიკმა სძლია პოლონელ ბედნიარსკის, ესპანელმა კორალიმ დაამარცხა იუგოსლავი დამიანოვიჩი.

რვა ტურის შემდეგ ლარსენს 7 ქულა აქვს, ბოტვინიკს, სმისლოვს, გლიგორიჩსა და ივკოვს — ხუთ-ხუთი-ხუთ-ხუთ-ნახევარ ქულა.

სპორტული ქრონიკა

● კოპენჰაგენში საერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა გუნდებმა პირველი ორი ადგილი და შვიდი პრიზი მოიპოვეს. ჩვენმა პირველმა და მეორე ნაკრებმა გუნდებმა მოაგროვეს რვა-რვა ქულა. მესამე იყო ჩეხოსლოვაკიის მეორე გუნდი (7 ქულა), მეოთხე — ჩეხოსლოვაკიის პირველი ნაკრები (5 ქულა), მეხუთე — კანადის გუნდი (2 ქულა), მეექვსე — პოლონეთის ნაკრები (0 ქულა).

● საკაბშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი სამხრეთ-ამერიკას ეწვია. პირველი მატჩი დინამოელებს ჰქონდათ ლიმაში პერუს ჩემპიონთან „ალიანსის" საკლუბო გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

● კოლუმბიის დედაქალაქში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებს შორის. მეტოქეებმა სამ-სამი ბურთი გაიტანეს და მეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

ბოლო სვეტიდან

კოლიმელი „ახალმოსახლენი"

ამ ექსპერიმენტის წარმატება ცოტა ვიმეს თუ სჯეროდა: ვის გაუგონია ვაშლის ხეების აკლიმატიზაცია კოლიმაში! მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდნენ დეტრნის სატყეოს ენთუზიასტი მებაღეები, რომლებსაც მეთაურობს იონას ბიგუშასი. მათ უხვად გაანაყოიერეს მიწა, დათესეს თესლი. გაზაფხულზე გამოჩნდა პირველი ნაზი აღმონაცენები. ორ ზამთარს ზედიზედ იონას ბიგუშასი და მისი ამხანაგები მზრუნველობით ახვევდნენ მცენარეებს თოვლში, მესამე ზამთარს კი ისინი საკუთარი თავის ანაბრად დატოვეს. ეს იყო მკაცრი გამოცდა. ყინვები ხომ ზოგჯერ ხამიც გრადუსს აღწევდა! მაგრამ კოლიმელმა „ახალმოსახლეებმა" ჩინებულად გაუძლეს გამოცდას. წლეულადელ ზაფხულს ისინი ისევე შეფოთლილნი იდგნენ, როგორც წინა ორ ზაფხულს.

ახლა კოლიმაში ქვლავ დადგა ზამთარი, უკანასკნელი ზამთარი, რომელსაც ახალგაზრდა ვაშლის ხეები სათბურებში გაატარებენ.

— მომავალ გაზაფხულზე, — თქვა იონას ბიგუშასმა, — ათას ნერგს გადავცემთ სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს.

ახლა იქვე არ არის, რომ კოლიმაშიც აყვავდებიან ვაშლის ხეები.

ე. დემიდოვი.

მაგადანი.

ეკ ვეფოთ, ეკ ქოვილეიროთ

ტელევიზია

8 დეკემბერი

11.00 — კინონარკვევი, 11.40 — საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების ორგანოების 50 წლისთავი — მხატვრული ფილმი „ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?" (I სერია), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 18.20 — „სკოლების დასახმარებლად" — „შალვა დადიანი, 19.00 — განცხადებები, 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ახლის ძიებაში", 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — სახალხო კონტროლის ეკრანი, 20.05 — კინონარკვევი, 20.25 — გადაცემა „ფიერლები ვერდის ცხოვრებიდან", 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.35 — ბოლგარული მხატვრული ფილმი „ბაჯვარიდინზე".

9 დეკემბერი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 50 წლისთავი — მხატვრული ფილმი „ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?" (II სერია), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 17.50 — კინონარკვევი, 18.10 — გადაცემა — „ქართული ჭიდაობა", 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — ოდესის ტელევიზიის ნაწარმოები, 20.00 — გადაცემა — „ერის საგანძური" (რეპორტაჟი საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან), 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.00 — დოკუმენტური ფილმი, 22.00 — გადაცემათა პროგრამა, 10 დიკენსის სახელობის, 22.05 — „საღამოს შეხვედრები" — საესტრადო გასართობი პროგრამა, 23.40 — ჯაზური მუსიკის კონცერტი (გადმოცემა ტალინიდან).

თეატრები

8 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — განთიადი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მომავალ შეხვედრამდე, ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ნინო. რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ალილეო ალილეი (№ 15 აბონ. საღ. 6 ს.).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი. გამოშვებული 1947 წელს

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა უკანასკნელი 120-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1967 წლის 30 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში.

მოგება ხვდა სესხის ოცდაორიგე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000475	44*)	500	008455	15*)	1000	017349	39*)	500
000478	06*)	500	008889	07*)	1000	017357	1—50	100
001554	14*)	500	010202	1—50	40	017862	45*)	2500
002180	1—50	40	010349	30*)	500	018516	06*)	500
002709	45*)	500	010807	1—50	100	019094	21*)	2500
003525	44*)	500	011131	13*)	500	019179	40*)	1000
004811	07*)	500	011853	05*)	500	019191	17*)	500
005901	1—50	40	013648	1—50	40	019708	48*)	500
005983	44*)	500	014027	1—50	40	019761	19*)	1000
006666	1—50	40	014642	50*)	500	020214	1—50	40
006727	1—50	100	015182	1—50	40	020433	46*)	1000
006871	1—50	40	016445	1—50	40	020582	40*)	500
007190	1—50	40	016529	36*)	500	021499	43*)	500
007996	1—50	40	016559	1—50	40	022049	42*)	1000
022473	1—50	100	041897	39*)	500	061973	20*)	500
025627	1—50	100	042131	1—50	40	062307	32*)	2500
025668	17*)	2500	043568	04*)	500	062565	33*)	500
025695	1—50	40	044085	30*)	500	062651	37*)	500
028138	34*)	500	044185	1—50	40	062914	11*)	1000
028169	07*)	500	044462	39*)	1000	063066	35*)	5000
028635	1—50	40	044734	47*)	500	063376	1—50	40
029737	40*)	500	044756	35*)	500	064129	47*)	500
029919	39*)	1000	044964	37*)	500	064965	12*)	500
030933	19*)	500	048051	36*)	500	065312	1—50	40
030970	11*)	500	048730	1—50	100	065587	50*)	1000
031072	13*)	500	049828	08*)	1000	065603	30*)	500
032392	18*)	500	050255	1—50	100	065938	43*)	1000
033903	1—50	40	051092	12*)	500	066105	33*)	1000
033990	1—50	100	051705	1—50	40	066243	1—50	100
034287	22*)	500	052178	1—50	40	066296	19*)	500
034429	15*)	500	052579	15*)	500	066347	10*)	500
034494	43*)	500	052663	1—50	40	067286	1—50	40
034596	1—50	100	052773	1—50	40	067450	35*)	500
034807	41*)	500	052838	1—50	40	068767	1—50	40
035581	1—50	40	053516	04*)	500	070776	1—50	40
037206	12*)	500	054740	44*)	500	071742	1—50	40
037354	1—50	40	055952	1—50	100	072752	26*)	500
038202	33*)	500	056539	1—50	40	073673	22*)	1000
038385	1—50	40	057279	09*)	500	074304	21*)	500
038428	1—50	40	059506	19*)	500	074899	18*)	500
038536	32*)	500	059935	26*)	500	074905	38*)	1000
038647	16*)	500	060146	26*)	2500	075011	50*)	500
039874	06*)	500	060238	25*)	500	075462	1—50	100
040106	06*)	1000	060240	05*)	1000	076244	09*)	500
040422	38*)	500	060854	36*)	500	077248	17*)	500
041542	17*)	500	061460	18*)	500	077322	10*)	5000
077879	48*)	1000	084900	1—50	40	092695	31*)	1000
078009	1—50	100	086024	08*)	500	093093	22*)	500
078158	47*)	500	086229	12*)	1000	093268	02*)	1000
078864	1—50	40	086918	1—50	40	095213	1—50	40
079787	14*)	500	087116	47*)	500	095624	21*)	1000
080293	1—50	40	087527	1—50	40	096394	1—50	40
080477	1—50	40	087980	38*)	500	096975	01*)	500
081298	43*)	1000	089749	1—50	40	098199	03*)	500
081800	28*)	500	090578	27*)	1000	098977	1—50	100
083366	09*)	500	090683	1—50	40	099378	25*)	500
083576	46*)	500	092423	22*)	1000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ამმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებიანი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება. ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი